

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯეო სერვისი

ს/ნ 412730077

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2024

საქმიანობის შედეგები 31.12.2024

განმარტებითი შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : საზოგადოება, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 01 სექტემბერს

საფირმო სახელწოდება: შპს ჯეო სერვის

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412730077

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №46ა, ბ. 51

ფაქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, ხოშარაულის ქ

საქმიანობის ძირითადი სფერო : საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით

ანგარიშების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი.

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2024 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. 3 ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა
შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული
აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვის
საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის
შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი
დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები. ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება
ელექტრონული ფორმით.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს
სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების,
გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება
გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია
შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური
აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული
დავალიანების წარმოშობის წლები.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი.
გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან
დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი
წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც
თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების
შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც
კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია
მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი
თვითღირებულებით ,რომელიც მოცავს შეძებასთან,ტრანსპორტირებასთან ,შენახვასთან
დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს .

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია
„საშუალო შეწონილი“

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა
გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ,აისახება მოკლევადიანი
აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების
შემადგენლობაში

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების
საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და
ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და
ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელ ნივთები და მასალები
(კატრიჯები ,დისკები ,ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და
შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის
შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე საშუალება მიეკუთვნება
ზედნადებ ხარჯებს

მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი
საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები
ჩამოიწერება მიმდინარე რემონტის ხარჯებში

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით
რომელიც მოიცავს :ნასყიდობის ფასს ,განზაუმების ხარჯებს ,არადაბრუნებად

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გადასახადებს ,ტრანსპორტირების ,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხაჯრებს

- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდბოს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით
- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის შპს ექსპრესსერვისის 2008

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახეული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება.
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.
- საოპერაციო ხარჯები ცხრილი

კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაგებებრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

დირექტორი: ირაკლი კამლაძე

მთ.ბუღალტერი: ქეთევანი ლექვინაძე



შპს ჯეო სერვის

ს/ნ: 412730077

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024 წელი

აქტივები	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
მიწა	1				-
ძირითადი საშუალებები	1	180181	120376	114828	115807
არამატერიალური აქტივები	1				-
სულ გრძელვადიანი აქტივები		180181	120376	114,828.00	115,807.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	2183675	1362341	1461054	803825
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	301898	199580	0	208975
გადახდილი ავანსები	3				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	58500	72609	65790	56481
სულ მიმდინარე აქტივები		2,544,073.00	1,634,530.00	1,526,844.00	1,069,281.00
სულ აქტივები		2,724,254.00	1,754,906.00	1,641,672.00	1,185,088.00
ვალდებულებები					
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	1489586	850541	1252170	829664
სხვა ვალდებულებები(ბანკის სესხები)	5	129993	166611	140000	120000
საგადასახადო ვალდებულებები	6	100645	90831	14296	30,334.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,720,224.00	1,107,983.00	1,406,466.00	979,998.00
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	7				-
გაუნაწილებელი მოგება	7	1004030	646923	235206	205090
სულ კაპიტალი		1,004,030.00	646,923.00	235,206.00	205,090.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,724,254.00	1,754,906.00	1,641,672.00	1,185,088.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი

ს/ნ: 412730077

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
6,110	შემოსავალი რეალიზიციიდან	9849450		თანხა	თანხა	თანხა
8,110	არასაოპერაციო შემოსავლები		7240815	5,259,770.00	3,842,798.00	
					0.00	
	სულ შემოსავალი	9,849,450.00	7,240,815.00	5,259,770.00	3,842,798.00	
	ბარჯები					
7,210	გაყიდული/შემენილი საქონელი	7343755	5591829.51			
7,340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	27368	31017	4,470,804.00	3,158,473.00	
7,410	შრომის ანაზღაურება	1479674	792927		25,217.00	
7,416	საპენსიო ხარჯი	29135	6897	417,028.00	228,023.00	
7,420	იჯარა	186104	142067		4,560.00	
7,424	რეკლამის და მიწოდების ხარჯი	188	1337.09	142,771.00	124,066.00	
7,426	სამეურნეო ხარჯი	3065	4 818.94		515.00	
7,430	კომუნიკაციის ხარჯები	8472	1963		5,045.00	
7,435	დაზღვევა		8938		8,807.00	
7,436	საპროცენტო ხარჯი	11296	21629		0.00	
7,450	საკონსულტაციო ხარჯები	8400	8600	20,354.00	19,322.00	
7,455	ცვეთა და ამორტიზაცია	29240	25558		8,170.00	
7,460	საკანცელარიო ხარჯი	382	1699	26,540.00	26,358.00	
7,490	სხვა საერთო ხარჯი	56083	36984		3,054.00	
7490 I	ბანკის საკომისიო	8872	7807	53,087.00	36,956.00	
8,220	არასაოპერაციო ზარალი				8,903.00	
					0.00	
	სულ ხარჯი	9,192,034.00	6,679,252.60	5,130,584.00	3,657,469.00	
	მოგება	657,416.00	561,562.40	129,186.00	185,329.00	19,761.00
	მოგების გადასახადი	45,046.00	22,477.00	14,860.00	-	-
	მოგება	612,370.00	539,085.40	114,326.00	185,329.00	19,761.00
	მოგების განაწილება მესაყურეებზე (მათ შორის დივიდენდი)	255263	127,368.40	84,210.00		
	დარჩენილი მოგება	1,004,030.00	646,923.00	235,206.00	205,090.00	19,761.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
1	საგადასახადო ვალდებულება	100645	90,831.00	14,296.00	30,334.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	100,645.00	90,831.00	14,296.00	30,334.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

დასახელება	ბალანსი 31 /12/ 2024 წ.	ბალანსი 31 /12/ 2023 წ.	ბალანსი 31 /12/ 2022 წ.	ბალანსი 31 /12/ 2021 წ
ოფისის აღჭურვილობა	59980	41843	16,661.00	20,181.00
მსუბუქი ავტომობილი	120201	78533	98,167.00	95,626.00
სხვა ძირით.საშუალებები			-	
			-	
			-	
სულ ფიქსირებული აქტივები	180,181.00	120,376.00	114,828.00	115,807.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი

ს/ნ: 412730077

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
1	სხვადასხვა საქონელი (ელექტრო-სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო)	2183675	1362341	1,461,054.00	803825
	სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	<u>2,183,675.00</u>	<u>1,362,341.00</u>	<u>1,461,054.00</u>	<u>803,825.00</u>

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება; გადახდილი ავანსები

#	დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
1	მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	301898	199580	-	208,975.00
2	გადახდილი ავანსები	0	-	-	-
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	301,898.00	199,580.00	-	208,975.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2024წ.	31.12.2023წ.	31.12.2022წ.	31.12.2021 წ.
1	სალარო	45962	47720	24,109.00	43,452.00
2	ბანკი	12538	24889	41,681.00	13,029.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	58,500.00	72,609.00	65,790.00	56,481.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები, სხვა ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021წ.
1	სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	1489586	850541.00	1,252,170.00	829664.00
2	სხვა ვალდებულებები(ბანკის სესხები)	129993	166,611.00	140,000.00	120,000.00
	ჯამი	<u>1,619,579.00</u>	<u>1,017,152.00</u>	<u>1,392,170.00</u>	<u>949,664.00</u>

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი

ს/ნ: 412730077

შენიშვნა 7 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	19,761.00	-	19,761.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	185,329.00		185,329.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		-	-
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		-	-
5	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	205,090.00	-	205,090.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	205,090.00	-	205,090.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	129,186.00	-	129,186.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 84,210.00	- 84,210.00
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		- 14,860.00	- 14,860.00
5	ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	334,276.00	- 99,070.00	235,206.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	235,206.00	-	235,206.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	561,562.00		561,562.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 127,368.00	- 127,368.00
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		- 22,477.00	- 22,477.00
5	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	796,768.00	- 149,845.00	646,923.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	646,923.00	-	646,923.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	657,416.00		657,416.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 255,263.00	- 255,263.00
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		- 45,046.00	- 45,046.00
5	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	1,304,339.00	- 300,309.00	1,004,030.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

